ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების

2025 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში

2025 წლის სამუშაო გეგმის ფარგლებში ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანებამ უზრუნველყო განსაზღვრული სტრატეგიული მიზნებისა და ქვეპუნქტების განხორციელების პროცესის სისტემური კოორდინაცია და მონიტორინგი. ყველა საბავშვო ბაღს დაევალა სამოქმედო გეგმის თითოეული აქტივობის შესრულება, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება და გაერთიანებისთვის ანგარიშის წარდგენა.

წარმოდგენილი ანგარიში აჯამებს ყველა საბავშვო ბაღის მიერ განხორციელებულ საქმიანობას, ასახავს მიღწეულ შედეგებს, შესრულებული აქტივობების ხარისხს და დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობას. თითოეული ბაღის მიერ წარდგენილ ანგარიშს თან ახლავს ფოტო და ტექსტური მტკიცებულებები, ასევე ელექტრონული მტკიცებულების ბმულები, ისინი ადასტურებს საგანმანათლებლო პროცესის სწორ დაგეგმვასა და განხორციელებას, ასევე მშობელთა ჩართულობის, მონიტორინგის მექანიზმების დანერგვისა და პროფესიული განვითარების მიმართულებით მიღწეულ პროგრესს.

სისტემური ანალიზი მოწმობს, რომ საბავშვო ბაღების უმრავლესობამ სრულად უზრუნველყო განსაზღვრული პარამეტრების შესრულება. განხორციელებულმა აქტივობებმა ხელი შეუწყო საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის ამაღლებას, ბავშვზე ორიენტირებული მიდგომების ინტეგრაციას, მშობელთა აქტიური ჩართულობის გაძლიერებას და დაწესებულების ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარებას. მიღებული შედეგები ქმნის მყარ საფუძველს 2025 წლის შემდგომი ეტაპების დაგეგმვის და განხორციელების უწყვეტ პროცესს.

სტრატეგიული მიზანი 1. სკოლამდელი ინკლუზიური განათლების ხარისხის გაუმჯობესება

1.1.თანმიმდევრული და კოორდინირებული მიდგომის გაძლიერება სხვადასხვა საჭიროებების მქონე ბავშვებთან

1.1.1.სსმ ბავშვების ირგვლივ მულტიდისციპლინური ჯგუფის შეხვედრები

1.1.1.ა. ბაღში ჩარიცხულ ყველა სსმ ბავშვზე ჩამოყალიბებულია მულტიდისციპლინური ჯგუფი

ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების 2025 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ყველა სტრუქტურულ ქვედანაყოფში შეიქმნა მულტიდისციპლინური ჯგუფები, განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსმ) ბავშვისთვის. გათვალისწინებული პროცედურების საფუძველზე, ჯგუფები ჩამოყალიბდა სასწავლო წლის დასაწყისში, რაც უზრუნველყოფს ბავშვის ინდივიდუალური განვითარების გეგმაზე მუშაობის დროულ და კოორდინირებულ პროცესს. სტრუქტურულ ქვედანაყოფების მიერ წარდგენილი ანგარიშები და თანდართული მტკიცებულებები სრულად ადასტურებს, რომ ყველა სსმ ბავშვზე მულტიდისციპლინური ჯგუფი შექმნილია 2025 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად.

1.1.1.ბ. თითოეულ სსმ ბავშვზე ჯგუფი შეკრებილია წელიწადში მინიმუმ 3 ჯერ

ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების სტრუქტურულ ქვედანაყოფებში მულტიდისციპლინური ჯგუფების შეხვედრა თითოეულ სსმ ბავშვზე გაიმართა წელიწადში მინიმუმ სამჯერ თითოეულ საბავშვო ბაღში, რაც დასტურდება ბაღების მიერ წარმოდგენილი ანგარიშებით და თანდართული დოკუმენტური მტკიცებულებებით. შეხვედრები ჩატარებულია მითითებულ ვადებში, სრულად დაცულია პროცედურები და უზრუნველყოფილია ბავშვების ინდივიდუალური საჭიროებების უწყვეტი მონიტორინგი და მხარდაჭერა ყველა საბავშვო ბაღში.

1.1.2.სსმ ბავშვისთვის განვითარების ინდივიდუალური გეგმების შემუშავება

1.1.2.ა. ბაღში ჩარიცხულ ყველა სსმ ბავშვზე შედგენილია გეგმა

ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების ყველა სტრუქტურულ ქვედანაყოფში ჩარიცხულ თითოეულ სსმ ბავშვზე შემუშავებულია ინდივიდუალური განვითარების გეგმა. ბაღების მიერ წარმოდგენილი ანგარიშები და შესაბამისი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ გეგმები შესრულებულია დადგენილი სტანდარტების მიხედვით და უზრუნველყოფს ბავშვის საჭიროებებზე მორგებულ საგანმანათლებლო მხარდაჭერას

1.1.3. გარე სერვისთან (განვითარების, ინტერვენციის, რეაბილიტაციის ცენტრი) ურთიერთთანამშრომლობა.

1.1.3.ა. განხორციელებულია გარე სერვისის სპეციალისტთან კომუნიკაცია ყველა სსსმ ბავშვზე წელიწადში მინიმუმ ერთხელ.

2025 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობის შესაბამისად, გარე სერვისების სპეციალისტებთან კომუნიკაცია განახორციელა **ახალსოფლის №1 და ხელვაჩაურის N2 საბავშვო ბაღებმა**. შემუშავებული გრაფიკის შესაბამისად დროულად, მითითებულ ვადებში, მოხდა ინფორმაციის გაცვლა და საჭიროების მიხედვით მხარდაჭერის დაგეგმვა სსმ ბავშვებისთვის. დაწესებულებამ 2025 წლის ანგარიშში სრულად ასახა შესრულებული აქტივობა და წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები. წარმოდგენილი დოკუმენტაცია სრულად ადასტურებს სამოქმედო გეგმის 1.1 ამოცანის 1.1.3.ა ინდიკატორის შესრულებას.

2025 წლის სამოქმედო გეგმის **1.1 ამოცანის**, კონკრეტულად **1.1.3 აქტივობის** და **1.1.3ა ინდიკატორის** შესრულების მონიტორინგის შედეგების მიხედვით, დგინდება, რომ განსაზღვრულ ვადებში (სექტემბერი) გარე სერვისის სპეციალისტებთან კომუნიკაციის უზრუნველყოფა ვერ განახორციელა **ხელვაჩაურის №1, ახალშენის, ჭარნალის და სალიბაურის** სტრუქტურულ ქვედანაყოფებში. აღნიშნული შეფერხება განპირობებული იყო სხვადასხვა ორგანიზაციული და ტექნიკური ტიპის გარემოებებით, რაც ბაღების მიერ შემოთავაზებულ განმარტებით ინფორმაციებში მკაფიოდ არის ასახული.

ხსენებული ბაღების ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, აქტივობა დამატებით დაიგეგმა **2025 წლის ნოემბერ–დეკემბრის პერიოდში**, რათა სრულად უზრუნველყოფილი იყოს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ინდიკატორის შესრულება და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება.

რაც შეეხება **მახინჯაურის საბავშვო ბაღს**, 2024 წლიდან მიმდინარე ინტენსიური **სარემონტო სამუშაოების** გამო შეუძლებელი გახდა გარე სერვისის წარმომადგენლებთან კომუნიკაციის ორგანიზება და აქტივობის განხორციელება. აღნიშნული გარემოება სათანადოდ არის ასახული წარმოდგენილ ანგარიშებსა და თანდართულ დამადასტურებელ მასალებში.

1.1.4. სსმ ბავშვთან მუშაობის პრაქტიკის შიდა სუპერვიზია

1.1.4.ა. განხორციელებულია ყველა სსმ ბავშვზე წელიწადში ორჯერ პროცესზე დაკვირვება და აღმზრდელისთვის შემუშავებულია რეკომენდაციები

2025 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობის შესაბამისად, ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების სტრუქტურულ ქვედანაყოფებში განხორციელდა სსმ ბავშვებთან მუშაობის შიდა სუპერვიზიის პროცესი. **ყველა საბავშვო ბაღში, გარდა მახინჯაურის საბავშო ბაღისა** (მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო), შესრულებულია ინდიკატორის მოთხოვნა — თითოეულ სსმ ბავშვზე წელიწადში ორჯერ, მითითებულ ვადებში განხორციელდა პროცესზე დაკვირვება, ამასთანავე შემუშავდა დეტალური რეკომენდაციები აღმზრდელებისთვის.

ბაღების მიერ წარმოდგენილი ანგარიშები სრულად ასახავს განხორციელებული სუპერვიზიის დეტალებს, ხოლო შესაბამისი დოკუმენტური მტკიცებულებები თანდართულია თითოეული საბავშვო ბაღის ანგარიშში.

1.2 ინკლუზიური განათლების შესახებ ცნობიერების ამაღლება და ადვოკატირება

1.2.1. პოსტერებისა და საინფორმაციო ტექსტების გავრცელება სოციალური ქსელის გამოყენებით ადრეულ ინკლუზიაზე.

1.2.1.ა. ყოველთვიურად გაერთიანებისა და ბაღების მედია პლატფორმებით გაზიარებულია მინიმუმ 1 პოსტი

2025 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობის შესრულების შეფასების შედეგად დადასტურდა, რომ აღნიშნული ინდიკატორი **სრულადაა განხორციელებული**. ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანებამ, როგორც ინდიკატორის განმახორციელებელმა ერთეულმა, თანმიმდევრული და სისტემური მიდგომით უზრუნველყო ინკლუზიური განათლების შესახებ ცნობიერების ამაღლება და საინფორმაციო მასალის გავრცელება.

გაერთიანების მეთოდისტისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტის თანამშრომლობით, **ყოველთვიურად** მომზადდა და სოციალურ მედია პლატფორმებზე (საბავშვო ბაღების გაერთიანების ფეისბუკ გვერდზე) განთავსდა საინფორმაციო პოსტები/პოსტერები ადრეული ინკლუზიური განათლების შესახებ, რომელიც მოიცავდა მშობლებისთვის რეკომენდაციებს, ადაპტაციის, მხარდაჭერის გზებსა და ზოგადად ცნობიერების ამაღლებას ინკლუზიური განათლების შესახებ.

ყველა პოსტი დასტურდება შესაბამისი ბმულით. რომლებიც თანდართულია გაერთიანების მიერ წარმოდგენილ ანგარიშში დანართის სახით. (დანართი N1).

1.2.2. შეხვედრების ჩატარება მშობლებთან და თემის წარმომადგენლებთან ადრეულ ინკლუზიაზე.

1.2.2.ა. ჩატარებულია სემესტრში 1 შეხვედრა, რომელსაც ესწრება ბაღიდან მინიმუმ 20 მშობელი.

2025 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ინდიკატორის შესრულების მონიტორინგის შედეგად დგინდება, რომ საინფორმაციო შეხვედრები ადრეული ინკლუზიის საკითხებზე **წარმატებით განხორციელდა გაერთიანების მიერ სამოქმედო გეგმაში მითითებულ ყველა სტრუქტურულ ქვედანაყოფში, გარდა მახინჯაურის საბავშვო ბაღისა** (სარემონტო სამუშაოების გამო).

შეხვედრების დაგეგმვა და ჩატარება უზრუნველყოფილი იყო ბაღების ფსიქოლოგების, ლოგოპედების, სპეციალური განათლების პედაგოგების და ბაღების მეთოდისტების კოორდინირებული მუშაობით. თითოეულ სტრუქტურულ ერთეულში შეხვედრას ესწრებოდა **მინიმუმ 20 მშობელი**, რაც დადასტურებულია ბაღების მიერ წარმოდგენილი ანგარიშებით და ფოტომასალით.

1.3 საჭიროებების ადრეული იდენტიფიცირების მექანიზმის ეფექტიანად უზრუნველყოფა

1.3.1.ბავშვების შეფასება წელიწადში ორჯერ სკრინინგ ინსტრუმენტის გამოყენებით.

2025 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ყველა სტრუქტურულ ქვედანაყოფში გათვალისწინებულია ბავშვების **შეფასება წელიწადში ორჯერ სკრინინგ ინსტრუმენტის გამოყენებით**.

სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ აქტივობა **წარმატებით განხორციელდა გაერთიანების ყველა საბავშვო ბაღში, გარდა მახინჯაურის, ორთაბათუმის და ფერიის სტრუქტურული ქვედანაყოფებისა**. (აღნიშნულმა საბავშო ბაღებმა მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო ვერ შეძლეს გეგმით გათვალისწინებული აქტივობის ორგანიზება). საბავშვო ბაღების მიერ შესრულებული სამუშაოების

მონიტორინგისას დადგინდა, რომ საბავშვო ბაღები უზრუნველყოფენ ბავშვების ინდივიდუალური განვითარების გეგმის სწორად ჩამოყალიბებას და საჭიროებისამებრ შემდგომი მხარდაჭერის პროცესის დაგეგმვას. საბავშვო ბაღების მიერ წარმოდგენილი ანგარიშები და დოკუმენტაცია ადასტურებს პროცედურის დაცვას და მონაცემთა სიზუსტეს.

1.3.1.ა. ყველა ბავშვზე შევსებულია ASQ კითხვარი.

2025 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, სტრუქტურულ ქვედანაყოფებში დაგეგმილი იყო **ყველა აღსაზრდელზე ASQ კითხვარის შევსება**, როგორც ადრეული განვითარების სკრინინგის მექანიზმის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი.

სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ აქტივობა წარმატებით განხორციელდა გაერთიანების ყველა საბავშვო ბაღში, გარდა მახინჯაურის, ორთაბათუმის და ფერიის სტრუქტურული ქვედანაყოფებისა. აღნიშნულმა საბავშვო ბაღებმა მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო ვერ შეძლეს გეგმით გათვალისწინებული აქტივობის ორგანიზება.

დანარჩენ საბავშვო ბაღებში ASQ კითხვარები შევსებულია სრულად, დადგენილი პროცედურების შესაბამისად. წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ანგარიშებს თანდართული მასალები ადასტურებს, რომ სკრინინგ პროცესში დაცულია სტანდარტები, ხოლო მიღებული შედეგები გამოყენებულია ბავშვების განვითარებაზე მორგებული მხარდაჭერის დაგეგმვისთვის.

1.3.2. სკრინინგის შედეგად გამოვლენილი პოტენციური საჭიროებების სტატისტიკის წარმოება და შემთხვევების აღწერა.

1.3.2.ა. თითოეულ საბავშვო ბაღში შეგროვებულია ინფორმაცია განვითარების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების შესახებ

1.3.2.ბ. გაერთიანების დონეზე შექმნილია საერთო ბაზა
ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების 2025 წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული აქტივობა სრულად განხორციელდა გაერთიანების ყველა სტრუქტურულ ქვედანაყოფში. თითოეულ საბავშვო ბაღში პასუხისმგებელი პირების მიერ დროულად შეგროვდა და დადგენილ ფორმატში მომზადდა მონაცემები იმ ბავშვების შესახებ, რომლებიც შეფასების შედეგების მიხედვით განვითარების რისკის ჯგუფში აღმოჩნდნენ.
მონიტორინგის შედეგებით დადასტურდა, რომ აქტივობა სრულად შესრულდა. ყველა საბავშვო ბაღიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე გაერთიანების დონეზე ჩამოყალიბდა მონაცემთა ბაზა, რომელიც მოიცავს სკრინინგის შედეგებს, რისკ-ფაქტორების აღწერას და შესაბამის დაკვირვებით მონაცემებს. ბაზა უზრუნველყოფს საჭიროებების ადრეული იდენტიფიცირების პროცესის სისტემურ გამჭვირვალეობას, მონაცემების ეფექტიან მართვასა და მომდევნო ეტაპებზე გეგმიური ინტერვენციების სწორად დაგეგმვას.

1.3.3. გამოვლენილი საჭიროებების შემთხვევებზე ბავშვის მშობლის/ოჯახის წევრის კონსულტირება ბავშვის სიღრმისეულ შეფასებაზე.

1.3.3.ა. ჩატარებულია მშობელთან მინიმუმ ერთი შეხვედრა გამოვლენილის გადასამისამართებლად.

სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული აქტივობა განხორციელდა ყველა საბავშვო ბაღში ჯეროვნად. განვითარების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვებთან დაკავშირებულ ყველა შემთხვევაზე შესაბამისი სპეციალისტების (ჯგუფის აღმზრდელი/პედაგოგის, ფსიქოლოგის, ენის და მეტყველების პედაგოგის, სპეციალური განათლების პედაგოგის და მეთოდისტების) მიერ გაიმართა ინდივიდუალური კონსულტაციები მშობლებთან ან ოჯახის წევრებთან.
შეხვედრების ფარგლებში მშობლებს მიეწოდათ ინფორმაცია სკრინინგის შედეგების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში კი განხორციელდა ოჯახის გადამისამისამართება სიღრმისეულ შეფასებაზე შესაბამისი დაწესებულებაში.

ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲐᲜᲘ N2. ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲑᲐᲦᲔᲑᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲘ

2.1 საბავშო ბაღების აშენება და კეთილმოწყობა

2.1.1. მახინჯაურის, ორთაბათუმის, ფერიის, ქედქედის საბავშვო ბაღების ავეჯით აღჭურვა.

2.1.1.ა ყველა ჯგუფი აღჭურვილია შესაბამისი რაოდენობის ავეჯითა და მასალით.

ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების 2025 წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული აქტივობა არ შესრულდა.
მიზეზი აღნიშნული **საბავშვო** ბაღების მიმდინარე სარემონტო სამუშაოების 2025 წლის ბოლომდე გაგრძელებაა, რის გამოც ავეჯით აღჭურვის პროცესი ვერ განხორციელდა.
შემდგომი ნაბიჯი: აღნიშნული აქტივობა იგეგმება 2026 წელს.

2.1.2. ბაღებში სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დაცვის უზრუნველყოფა

2.1.2.ა.ბაღებში დამონტაჟებულია სახანძრო უსაფრთხოების მოწყობილობები, რაც აკმაყოფილებს „ტექნიკური რეგლამენტის შენობა ნაგებობის უსაფრთხოების წესის, დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N 41 დადგენილებას“

ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების 2025 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად განხორციელებული მონიტორინგის შედეგების მიხედვით დგინდება, რომ აღნიშნული აქტივობა სრულად შესრულდა ხელვაჩაურის №1, ხელვაჩაურის №2 და ახალშენის საბავშო ბაღებში. 2025 წელს აღნიშნული აქტივობა არ განხორციელდა ახასოფლის N1 საბავშო ბაღში.

სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ვადებისა და პროცედურების დაცვით თითოეულ აღნიშნულ საბავშვო ბაღში დამონტაჟდა სახანძრო უსაფრთხოების სტანდარტული მოწყობილობები.

სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ წარმოდგენილი ანგარიშები და თანდართული დოკუმენტაცია სრულად ადასტურებს, რომ განხორციელებული სამუშაოები შეესაბამება „ტექნიკური რეგლამენტის შენობა–ნაგებობის უსაფრთხოების წესით“ განსაზღვრულ მოთხოვნებს.
აღნიშნული უზრუნველყოფს საბავშვო ბაღებში უსაფრთხოების მაღალი სტანდარტის დამკვიდრებას და საგანგებო პირობებში სწრაფი რეაგირების შესაძლებლობას.

2.1.3 საბავშვო ბაღების მდგრადობის უზრუნველყოფა.

2.1.3.ა. შემოწმებულია საბავშვო ბაღების შენობის უსაფრთხოება „ტექნიკური რეგლამენტის შენობა ნაგებობის უსაფრთხოების წესის, დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N 41 დადგენილებას“ შესაბამისად.

ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების 2025 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობის შესრულების მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ შენობის უსაფრთხოების შემოწმების პროცესი სრულად განხორციელდა ხელვაჩაურის №2 და ახალშენის საბავშვო ბაღებში. ორივე სტრუქტურულ ქვედანაყოფში შემოწმება შესრულდა დადგენილი რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის სრული დაცვით, ხოლო წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს პროცესის სრულ თავსებადობას ტექნიკური რეგლამენტის ნორმებთან.

მონიტორინგის შედეგად დადგენილია, რომ აღნიშნული აქტივობა არ შესრულებულა ხელვაჩაურის №1 და ახალსოფლის №1 საბავშვო ბაღებში.

2.2. ბაღების ეზოების მოწყობა შერჩეული კურიკულუმის შესაბამისად

2.2.1. საბავშვო ბაღის ეზოებში მოტორული სივრცეების ანდა ატრაქციონების მოწყობა

2.2.1.ა.მინიმუმ ერთ ბაღში მოწყობილია ეზოს მოტორული სივრცე/ ატრაქციონი

ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების 2025 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობის მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული აქტივობა უნდა განხორციელებულიყო სალიბაურის საბავშვო ბაღში. სტრუქტურული ქვედანაყოფის მიერ წარმოდგენილი ანგარიშებისა და შემოწმების პროცესის საფუძველზე დადგენილია, რომ 2025 წლის ანგარიშგების პერიოდში სამოქმედო გეგმით განსაზღვრული სამუშაოები **არ შესრულებულა**.

2.2.2. ეზოს მოწყობა ფუნქციურ სივრცეებად

2.2.2.ა. საბავშვო ბაღების ეზოში მოწყობილია მინიმუმ 5 ფუნქციური სივრცე

ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების 2025 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობის შესრულების მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ ეზოების ფუნქციურ სივრცეებად მოწყობის პროცესი წარმატებით განხორციელდა გაერთიანების ყველა სტრუქტურულ ქვედანაყოფში. საბავშვო ბაღებმა, მშობლების და თემის წარმომადგენლების აქტიური ჩართულობით, გაერთიანების ადმინისტრაციის მხარდაჭერის პირობებში, უზრუნველყვეს ეზოების აღჭურვა მინიმუმ ხუთი ფუნქციური სივრცით.

სტრუქტურულ ქვედანაყოფებში წარმოდგენილი ანგარიშები და თანდართული დოკუმენტური მტკიცებულებები ადასტურებს, რომ ფუნქციური სივრცეების მოწყობა სრულად შეესაბამება სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ მოთხოვნებს და უზრუნველყოფს ბავშვებისთვის მრავალფეროვან და შემეცნებით გარემოს შექმნას.

2.2.3. ბაღის ეზოებში საჩრდილობელი სივრცის მოწყობა

2.2.3. ბაღის ეზოში მოწყობილია მინიმუმ ერთი საჩრდილობელი

ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების 2025 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობის მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ საბავშვო ბაღების ეზოებში საჩრდილობელი სივრცეების მოწყობის პროცესი ნაწილობრივ განხორციელდა. გეგმით განსაზღვრული მინიმუმ ერთი საჩრდილობელის მოწყობა სრულად შესრულებულია ახალშენის, ხელვაჩაურის №2 და აჭარისწყლის საბავშვო ბაღებში.

მონიტორინგის ანგარიშებით დადასტურდა, რომ აღნიშნულ ობიექტებში მოწყობილი საჩრდილობელი სივრცეები შეესაბამება დაგეგმილი აქტივობის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს ბავშვებისათვის უსაფრთხო და დაცულ გარემოს ღია სივრცეში საქმიანობისას.

გაერთიანების სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფებში აქტივობა 2025 წლის მონიტორინგის პერიოდში არ შესრულებულა.

2.2.4. ეზოების მოწყობის შიდა შეფასება/ მონიტორინგი

2.2.4.ა. ჩატარებულია წელიწადში მინიმუმ 2 ჯერ შიდა მონიტორინგი და დაწერილია ანგარიში

ბაღების მიერ წარმოდგენილი მონიტორინგის ანგარიშების მიმოხილვის შედეგად გახდა ცხადი, რომ ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების 2025 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობა - ეზოების მოწყობის შიდა შეფასება და მონიტორინგი - სრულად განხორციელდა ყველა სტრუქტურულ ქვედანაყოფში.

გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, თითოეულ საბავშვო ბაღში წელიწადში მინიმუმ ორი შიდა მონიტორინგი ჩატარდა. განხორციელებულ მონიტორინგს თან დაერთო ბაღების მეთოდისტების მიერ მომზადებული შეფასების ანგარიშები, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და დოკუმენტირებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ მეთოდისტებმა უზრუნველყვეს შიდა შეფასების დროული და ხარისხიანი შესრულება. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს ეზოების ფუნქციური მოწყობის სტანდარტებთან შესაბამის კონტროლს და არსებული გარემოს უწყვეტ გაუმჯობესებას.

2.2.5. ეზოების მოწყობის გარე შეფასება/ მონიტორინგი

2.2.5.ა. ჩატარებულია წელიწადში მინიმუმ 1 ჯერ გარე მონიტორინგი და მომზადებულია შესაბამისი ანგარიში

გარე მონიტორინგის პროცესის ფარგლებში მიღებული მასალების და წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიმოხილვის შედეგად დადასტურდა, რომ ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების 2025 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობა სრულად განხორციელდა.

სამოქმედო გეგმის მოთხოვნის შესაბამისად, წელს ორჯერ განხორციელდა ეზოების გარე შეფასება, რომლის ჩატარებაზე პასუხისმგებელნი იყვნენ გაერთიანების დირექტორის მოადგილე და მეთოდისტი. მონიტორინგის პროცესს თან ახლავს მომზადებული შესაბამისი ანგარიშები და დადასტურებული მტკიცებულებები, მათ შორის-მონიტორინგის აქტები, რაც ადასტურებს ჩატარებული სამუშაოს სისწორესა და პროცესის შესაბამისობას დადგენილ სტანდარტებთან.

წარმოდგენილი დოკუმენტები ცხადყოფს, რომ გარე შეფასება განხორციელდა დროულად, სრულყოფილად და უზრუნველყოფს საბავშვო ბაღების ეზოების მოწყობის ხარისხის კონტროლის მექანიზმს.

2.3. საბავშვო ბაღების შიდა სივრცეების მოწყობა შერჩეული კურიკულუმის შესაბამისად

2.3.1. საბავშვო ბაღების შიდა სივრცეების მოწყობის შიდა შეფასება/ მონიტორინგი

2.3.1..ა. ჩატარებულია წელიწადში მინიმუმ 2 ჯერ შიდა მონიტორინგი და დაწერილია ანგარიში.

საბავშვო ბაღების მიერ წარმოდგენილი შიდა მონიტორინგის დოკუმენტაციის განხილვის შედეგად დადგინდა, რომ ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების 2025 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობა სრულად განხორციელდა.

შიდა სივრცეების შეფასების პროცესზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდა ბაღების მეთოდისტებს, რომლებმაც გეგმით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად წელიწადში მინიმუმ ორი შიდა მონიტორინგი განახორციელეს. თითოეულ ჩატარებულ მონიტორინგს თან ერთვის შესაბამისი ანგარიშები, რაც ადასტურებს პროცესის დროულ, სრულყოფილ და სტანდარტებთან შესაბამის შესრულებას.

წარმოდგენილი დოკუმენტური მტკიცებულებები - შიდა შეფასების ფორმები, მონიტორინგის აქტები და სხვა დამუშავებული მასალები - ცხადყოფს, რომ შიდა სივრცეების მოწყობა და მისი შეფასება სრულ შესაბამისობაშია შერჩეული კურიკულუმის მოთხოვნებთან და ხელს უწყობს მაღალი ხარისხის სასწავლო გარემოს უზრუნველყოფას.

2.3.2. ბაღების შიდა სივრცეების მოწყობის გარე შეფასება/ მონიტორინგი

2.3.2.ა. ჩატარებულია წელიწადში მინიმუმ 1 ჯერ გარე მონიტორინგი და მომზადებულია შესაბამისი ანგარიში

გარე მონიტორინგის პროცესის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ შიდა სივრცეების მოწყობის გარე შეფასება სრულად განხორციელდა ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების 2025 წლის სამოქმედო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.

აღნიშნული აქტივობის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები იყვნენ გაერთიანების დირექტორის მოადგილე და მეთოდისტი, რომლებმაც უზრუნველყეს შიდა სივრცეების მოწყობის გარე მონიტორინგის ჩატარება და შესაბამისი ანგარიშების მომზადება.

წარმოდგენილი მონიტორინგის აქტები და დამადასტურებელი მასალები ადასტურებს, რომ გარე შეფასება განხორციელდა დადგენილ ვადებში და უზრუნველყოფს შიდა გარემოს მოწყობის ხარისხის ობიექტურ კონტროლს, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საბავშვო ბაღებში სასწავლო გარემოს სტანდარტების დაცვასა და გაუმჯობესებას..

2.3.3. ბაღის შიდა სივრცეების/ცენტრების გამრავალფეროვნება საგანმანათლებლო და განმავითარებელი რესურსით

2.3.3.ა. საბავშვო ბაღებში შეტანილია წინასწარი სიით განსაზღვრული რესურსი

საბავშვო ბაღების მიერ წარმოდგენილი ანგარიშებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე დადასტურდა, რომ ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების 2025 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობა სრულად განხორციელდა ყველა სტრუქტურულ ქვედანაყოფში.

შიდა სივრცეების და ცენტრების გამრავალფეროვნების მიზნით, თითოეულ საბავშვო ბაღში შეტანილია წინასწარ განსაზღვრული და დამტკიცებული სიის მიხედვით შერჩეული საგანმანათლებლო და განმავითარებელი რესურსი.

აქტივობის განხორციელებაზე პასუხისმგებელი იყვნენ გაერთიანების დირექტორის მოადგილე და მეთოდისტი, რომლებმაც უზრუნველყვს როგორც რესურსების შერჩევის, ასევე მათი საბავშვო ბაღებში განაწილების პროცესის დროული და სტანდარტებთან შესაბამისი მართვა.

წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ აქტივობა სრულად და ეფექტიანად განხორციელდა ყველა საბავშვო ბაღში.

სტრატეგიული მიზანი N3. პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა

3.1 პერსონალის გადამზადება

3.1.1.აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული განვითარების 66 საათიანი ტრენინგ მოდულის განხორციელება

3.1.1.ა ტრენინგი გაიარა მინიმუმ ერთმა 25 კაციანმა ჯგუფმა.

მონიტორინგის შედეგებით დადგინდა, რომ 2025 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობა სრულად შესრულდა. განხორციელდა 66 - საათიანი პროფესიული განვითარების ტრენინგ მოდული, რომელიც პროგრამის ინსტრუქციების შესაბამისად წარიმართა.

ტრენინგის ჩატარება უზრუნველყოფილი იყო დაგეგმილი ფორმატის, შინაარსისა და აკადემიური დატვირთვის სრული შესაბამისობით. მონაწილეთა ჩამონათვალი და სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარმოდგენილია საბავშვო ბაღების მიერ წარდგენილ ანგარიშებში, რაც ადასტურებს აქტივობის სრულყოფილად განხორციელებას.

აღნიშნული ტრენინგი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს აღმზრდელ-პედაგოგების პროფესიული კომპეტენციების გაძლიერებაში და ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას გაერთიანების ყველა სტრუქტურულ ქვედანაყოფში.

3.1.2. პირველადი გადაუდებელი დახმარების ტრენინგის განხორციელება პერსონალისთვის.

3.1.2.ა. ყველა საბავშვო ბაღის ყველა ჯგუფში მინიმუმ ერთ აღმზრდელს გავლილი აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების ტრენინგი

მონიტორინგის შედეგად დადასტურდა, რომ 2025 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობა სრულად შესრულდა. პირველადი გადაუდებელი დახმარების ტრენინგი ჩატარდა ყველა საბავშვო ბაღში.

საბავშვო ბაღების მიერ წარმოდგენილი დამადასტურებელი დოკუმენტაცია - მონაწილეთა სია, სერტიფიკატები და ტრენინგის ანგარიშები - ადასტურებს, რომ ტრენინგ აქტივობა სრულ შესაბამისობაშია გეგმის მოთხოვნებთან.

3.1.3. საგანმანათლებლო პერსონალის ტრენინგის განხორციელება ადრეული განათლების კურიკულუმ „თამაშზე“

3.1.3.ა. მინიმუმ 25 პირს წარმატებით აქვს გავლილი ტრენინგ-მოდული და მიღებული აქვს შესაბამისი სერთიფიკატი

მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ 2025 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში განსაზღვრული აქტივობა — საგანმანათლებლო პერსონალის ტრენინგის განხორციელება ადრეული განათლების კურიკულუმ *„თამაშზე“* — ვერ განხორციელდა.

ინდიკატორის მოთხოვნის მიხედვით, ტრენინგი უნდა გაევლო მინიმუმ 25 პირს და მიეღო შესაბამისი სერთიფიკატი, თუმცა გაერთიანების სტრუქტურულ ქვედანაყოფებში აღნიშნული პროცესი მიმდინარე წლის განმავლობაში არ ჩატარებულა.

3.2 პერსონალის საგანმანათლებლო, მეთოდოლოგიური და დამხმარე რესურსებით აღჭურვა

3.2.1. საბავშვო ბაღების კომპიუტერებში ადრეულ და ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული ელექტრონული რესურსების ჩატვირთვა

3.2.1.ა ყველა საბავშვო ბაღში შექმნილია ციფრული საქაღალდე მეთოდოლოგიური ლიტერატურით.

მონიტორინგის შედეგებით დადასტურდა, რომ 2025 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობა სრულად განხორციელდა. ყველა საბავშვო ბაღში შეიქმნა ციფრული საქაღალდე, რომელიც შეიცავს ადრეულ და ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებულ მეთოდოლოგიურ და დამხმარე ელექტრონულ რესურსებს.

საბავშვო ბაღების მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ რესურსები განთავსებულია კომპიუტერებში დადგენილი ფორმატის შესაბამისად და სრულად უზრუნველყოფს პერსონალის საგანმანათლებლო და მეთოდოლოგიურ მხარდაჭერას. აღნიშნული აქტივობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პროფესიული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზრდას.

3.2.2. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების განახლებული ვერსიების დაბეჭდვა და საბავშვო ბაღებისთვის მიწოდება

3.2.2.ა

თითოეულ საბავშვო ბაღში დაბეჭდილია მინიმუმ სამი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების განახლებული ვერსიები.

მონიტორინგის შედეგებით დადასტურდა, რომ 2025 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობა სრულად შესრულდა. ყველა სტრუქტურულ ქვედანაყოფში უზრუნველყოფილი იყო ადრეული და

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების განახლებული ვერსიების დაბეჭდვა და მიწოდება.

ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად, თითოეულ საბავშვო ბაღში განთავსებულია მინიმუმ სამი ბეჭდური ასლი, რაც დასტურდება ბაღების მიერ წარდგენილი შესაბამისი დოკუმენტაციით. აღნიშნული რესურსი ხელს უწყობს პედაგოგიურ პროცესში სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას და პერსონალის საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებას.

3.3 პერსონალის მიერ პრაქტიკის გაზიარების მექანიზმის დანერგვა

3.3.1.საგანმანათლებლო პერსონალთან შეხვედრების განხორციელება პრაქტიკის გაზიარების მიზნით

3.3.1.ა ჩატარებულია გაერთიანების დონეზე წელიწადში მინიმუმ 1 შეხვედრა საუკეთესო პრაქტიკის მიზნით

მონიტორინგის პროცესის შედეგად დადგინდა, რომ 2025 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობა სრულად არის შესრულებული. განხორციელდა საგანმანათლებლო პერსონალთან შეხვედრა საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით, რაც გეგმით ითვალისწინებდა გაერთიანების დონეზე წელიწადში მინიმუმ ერთი შეხვედრის ჩატარებას.

შეხვედრა გამართული იყო დაგეგმილი ფორმატის შესაბამისად, განხილულ იქნა პედაგოგიური საქმიანობის პრაქტიკული გამოცდილებები, ეფექტური საგანმანათლებლო მიდგომები და ჯგუფებში გამოყენებული ინოვაციური მეთოდები. აქტივობის შესრულება დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით - დასწრების ფორმებით, შეხვედრის ოქმითა და მომზადებული სასწავლო/პრეზენტაციის მასალებით.

აღნიშნული აქტივობა ხელს უწყობს პერსონალის თანამშრომლობის გაღრმავებას, გამოცდილების სისტემურ გაზიარებას და პროფესიული ურთიერთსწავლის პროცესის გაუმჯობესებას.

3.3.2. კოლეგიალური შეფასების პრაქტიკის დანერგვა

3.3.2.ა წელიწადში მინიმუმ ერთხელ განხორციელებულია სამიზნე საბავშვო ბაღებს შორის კოლეგიალური შეფასება

მონიტორინგის შედეგების მიხედვით დადგინდა, რომ სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობა **სრულად არის შესრულებული**. კოლეგიალური შეფასების მექანიზმის დანერგვის ფარგლებში შესრულებულია ინდიკატორის მოთხოვნა, რომელიც ითვალისწინებდა სამიზნე საბავშვო ბაღებს შორის ურთიერთშეფასების ჩატარებას წელიწადში მინიმუმ ერთხელ.

აქტივობაში იყვნენ ჩართული შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფები:

- აჭარისწყლის საბავშვო ბაღი,
- ახალსოფლის №1 საბავშვო ბაღი,
- ჭარნალის საბავშვო ბაღი.

აღნიშნულ საბავშვო ბაღებს შორის განხორციელდა კოლეგიალური მონიტორინგი, რომლის ფარგლებშიც შეფასებულია საგანმანათლებლო პრაქტიკა, სივრცის და გარემოს მოწყობა, პედაგოგიური მიდგომები, ასევე გეგმასა და შეფასებაზე დაფუძნებული პროცესების პრაქტიკაში გამოყენება. აქტივობის სრულად განხორციელება დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით - მონიტორინგის აქტებით, შეფასების ფორმებითა და დამუშავებული მასალებით.

აღნიშნული პროცესი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პედაგოგებს შორის საერთო პროფესიული სტანდარტების განმტკიცებას, გამოცდილების გაზიარებასა და განვითარების საჭიროებების გამოვლენას,

რაც საბოლოოდ აძლიერებს საბავშვო ბაღებს შორის თანამშრომლობას და პროფესიული მხარდაჭერის კულტურას.

სტრატეგიული მიზანი N4. საგანმანათლებლო და საღმზრდელო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება

4.1 ბავშვზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების უზრუნველყოფა

4.1.1. გეგმის, ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების ფორმების შერჩევა და შეთანხმება საბავშვო ბაღის საგანმანათლებლო პერსონალთან.

4.1.1.ა დამტკიცებულია გეგმის, ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების ფორმები.

2025 წლის გეგმაში გათვალისწინებული მოთხოვნის შესაბამისად, განხორციელდა საბავშვო ბაღებში საგანმანათლებლო პროცესის გასაუმჯობესებლად საჭირო დოკუმენტების: **საგანმანათლებლო გეგმის**, **ბავშვზე დაკვირვების ფორმების** და **შეფასების ინსტრუმენტების** შერჩევის პროცესებს. აღნიშნული დოკუმენტების შემუშავება ემყარება ბავშვზე ორიენტირებულ მიდგომებს, რაც გულისხმობს თითოეული აღსაზრდელის უნარებისა თუ ინტერესების გათვალისწინებას, განვითარებაზე ორიენტირებული მეთოდების გამოყენებას, რეგულარული შეფასებით საგანმანათლებლო პროცესის გაუმჯობესებას.

პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული ბაღების ხელმძღვანელები, საგანმანათლებლო პერსონალი და მეთოდისტები. შეხვედრებისა და კონსულტაციების ფორმატში განიხილეს არსებული პრაქტიკა, გაანალიზეს საჭიროებები და შეირჩა ისეთი ფორმები, რომლებიც ყველაზე მეტად უზრუნველყოფს განათლების ხარისხის გაუმჯობესებას და რაციონალურ გამოყენებას პრაქტიკაში.

მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე **დამტკიცდა ერთიანი ინსტრუმენტი**, რომელიც სავალდებულოა ყველა საბავშვო ბაღისთვის. აღსანიშნავია, რომ **აღნიშნული აქტივობა სრულად განხორციელდა ყველა საბავშვო ბაღის მიერ**, დამტკიცებული ფორმები გამოიყენება მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში და წარმოადგენს საფუძველს როგორც ინდივიდუალური განვითარების მონიტორინგისთვის, ისე საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანობის შეფასებისთვის.

4.1.2.ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე პროექტების დაგეგმვა და განხორციელება

4.1.2.ა თითოეული საბავშვო ბაღში განხორციელებულია წელიწადში მინიმუმ 2 პროექტი.

ბავშვზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესის განვითარების ფარგლებში, 2025 წლის სამუშაო გეგმაში გათვალისწინებული იყო თითოეულ საბავშვო ბაღში ისეთი პროექტების დაგეგმვა და განხორციელება, რომლებიც ემყარება ბავშვთა ინტერესებს, მათი ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების საჭიროებების ანალიზს. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს პიროვნული, სოციალური, გონებრივი და შემოქმედებითი უნარების გაღრმავებას, ბავშვთა ჩართულობის ზრდას და მათთვის შემეცნებითი გარემოს შექმნას.

გეგმასთან შესაბამისობით, **თითოეულ საბავშვო ბაღში განხორციელდა წელიწადში მინიმუმ ორი პროექტი**. აღსანიშნავია, რომ **კრიტერიუმი სრულად შესრულდა ყველა საბავშვო ბაღში**, რაც მიანიშნებს როგორც პროცესის გამართული ორგანიზების, ასევე საგანმანათლებლო პერსონალის მაღალ ჩართულობასა და პასუხისმგებლობას.

4.1.3. ბავშვზე ორიენტირებული პროცესის შეფასება/მონიტორინგი

4.1.3.ა ყველა საბავშვო ბაღის ყველა ჯგუფში წელიწადში მინიმუმ ერთხელ განხორციელებულია პროცესის მონიტორინგი.

ბავშვზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია სისტემატური მონიტორინგი, რომელიც საშუალებას იძლევა შეფასდეს როგორც საგანამანთლებლო პერსონალის მიერ გამოყენებული მეთოდებისა და მიდგომების ეფექტურობა, ასევე ბავშვთა ინდივიდუალური პროგრესი და ჩართულობა. 2025 წლის სამუშაო გეგმის ფარგლებში განსაზღვრული იყო, თითოეული საბავშვო ბაღის, ყველა ჯგუფში, წელიწადში მინიმუმ ერთხელ განხორციელებულიყო პროცესის მონიტორინგი.

გეგმის მოთხოვნის შესაბამისად, **ყველა საბავშვო ბაღის ყველა ჯგუფში რეალურად განხორციელდა მინიმუმ ერთი მონიტორინგის ვიზიტი წლის განმავლობაში**. აღნიშნული აქტივობა სრულად შესრულდა ყველა საბავშვო ბაღში, რაც მიუთითებს მონიტორინგის პროცესის სათანადო დაგეგმვასა და მართვას, ასევე საგანმანათლებლო პერსონალის მზადყოფნას - უზრუნველყონ გამჭვირვალე, ბავშვზე ორიენტირებული და სტანდარტებთან შესაბამისი საგანმანათლებლო გარემო.

4.2 მშობელთა და თემის ჩართულობის ხელშეწყობა.

4.2.1. მშობლებთან ხელშეკრულებების განახლება.

4.2.1.ა ყველა მშობელთან დადებულია განახლებული ხელშეკრულება.

საგანმანათლებლო პროცესში მშობელთა აქტიური ჩართულობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ბავშვზე ორიენტირებული მიდგომის ეფექტურად განხორციელებისთვის. შესაბამისად, 2025 წლის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა ყველა აღსაზრდელის მშობელთან განახლებული ხელშეკრულებების გაფორმებას, რაც მიზნად ისახავდა ურთიერთობის სამართლებრივი ჩარჩოს განმტკიცებას, თანამშრომლობის პრინციპების განსაზღვრას და პასუხისმგებლობის გააზრებას.

სამოქმედო გეგმის რეალიზაციის ფარგლებში, **ყველა საბავშვო ბაღში სრულად განხორციელდა მშობლებთან განახლებული ხელშეკრულების გაფორმება**. აღსანიშნავია, რომ **აქტივობა სრულად შესრულდა ყველა საბავშვო ბაღში**, რაც მიუთითებს ორგანიზაციული პროცესების სათანადო დაგეგმვაზე, ადმინისტრაციის აქტიურობასა და მშობელთა მაღალი პასუხისმგებლობას.

4.2.2. მშობლებთან ღია კარის დღეების პრაქტიკის განხორციელება.

4.2.2.ა. ყველა საბავშვო ბაღს აქვს წელიწადში ერთხელ მინიმუმ ერთი ღია კარის დღე მოწყობილი

მშობელთა ჩართულობის გასაზრდელად ეფექტიან პრაქტიკად ჩამოყალიბდა ღია კარის დღეების ორგანიზება, რომლის მეშვეობითაც მშობლებს ეძლევათ შესაძლებლობა უშუალოდ გაეცნონ საბავშვო ბაღის გარემოს, უსაფრთხოების სტანდარტებს, საგანმანათლებლო პერსონალს და გამოსაყენებელ საგანმანათლებლო პროგრამებს. ღონისძიება ტარდება საბავშვო ბაღების მუშაობის დაწყებამდე და ხელს უწყობს როგორც ბავშვების ადაპტაციის გამარტივებას, ასევე მშობლებთან ნდობაზე დაფუძნებულ თანამშრომლობის ჩამოყალიბებას.

2025 წლის სამოქმედო გეგმის თანახმად, ყველა საბავშვო ბაღმა მოაწყო მინიმუმ ერთი ღია კარის დღე. ღონისძიებები მოიცავდა საგანმანათლებლო პროცესის დემონსტრირებას, პედაგოგებთან კონსულტაციებსა და თემატურ აქტივობებს. აღნიშნული აქტივობა **სრულად განხორციელდა ყველა საბავშვო ბაღში**, რაც მიუთითებს როგორც ორგანიზაციული მენეჯმენტის ეფექტიანობაზე, ისე საბავშვო ბაღებისა და მშობლების თანამშრომლობის მაღალი კულტურის არსებობაზე.

მტკიცებულების სახით, თითოეულ საბავშვო ბაღს ანგარიშში წარმოდგენილი აქვს შესაბამისი ფოტო და ტექსტური მასალები, რაც ადასტურებს ინდიკატორის სრულად შესრულებას.

4.2.3. მშობლების ჩართვა საგანმანათლებლო - სააღმზრდელო პროცესში მოწვეული ექსპერტის ან დამხმარეს როლში.

4.2.3.ა.თითოეულ საბავშვო ბაღში წელიწადში მინიმუმ ხუთჯერ არის მოწვეული მშობელი ექსპერტის ან დამხმარეს როლში.

მშობელთა ჩართულობის გაღრმავების მიზნით, 2025 წლის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა თითოეულ საბავშვო ბაღში მშობლების მოწვევას სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობაში ექსპერტის ან დამხმარის როლში. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს ბავშვებისთვის მრავალფეროვანი შემეცნებითი გამოცდილების მიღებას, რეალური ცხოვრების მაგალითებზე დაფუძნებულ სწავლას და თემთან თანამშრომლობის კულტურის გაძლიერებას.

სამოქმედო გეგმის მოთხოვნის შესაბამისად, **თითოეულ საბავშვო ბაღში წელიწადში მინიმუმ ხუთჯერ მოიწვიეს მშობლები ექსპერტის ან დამხმარის როლში**. აღსანიშნავია, რომ **აქტივობა სრულად შესრულდა ყველა საბავშვო ბაღში**.

მტკიცებულების სახით, საბავშვო ბაღების ანგარიშებში წარმოდგენილია შესაბამისი ფოტო და ტექსტური მასალები, რომლებიც ადასტურებს მშობლების ჩართულობასა და ღონისძიებების ფაქტობრივ განხორციელებას.

4.2.4. მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების წარმოება მათი შვილის განვითარების პროგრესის განხილვის მიზნით

4.2.4.ა. წელიწადში მინიმუმ ორჯერ ჩატარებულია თითოეული ბავშვის მშობელთან შეხვედრა.

ბავშვის ინდივიდუალური განვითარების მონიტორინგისა და მშობლებთან ეფექტიანი კომუნიკაციის უზრუნველყოფის მიზნით, 2025 წლის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ყოველ ბავშვზე ორიენტირებულ ინდივიდუალურ შეხვედრებს, რომლებიც წელიწადში მინიმუმ ორჯერ უნდა ჩატარებულიყო. აღნიშნული შეხვედრები მიზნად ისახავდა ბავშვის ინტელექტუალური, სოციალურ - ემოციური და ფიზიკური განვითარების პროგრესის მიმოხილვას, პედაგოგისა და მშობლის შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის განმტკიცებას და ბავშვის საჭიროებების უკეთ იდენტიფიცირებას.

შეხვდრების ფარგლებში მშობლებს მიეწოდებოდათ მასწავლებლის დაკვირვებებზე, შეფასების ფორმებზე და ბავშვის ინდივიდუალურ მიღწევებზე ინფორმაცია, ასევე განიხილებოდა შემდგომი მხარდაჭერისა და განვითარების გეგმები.

სამოქმედო გეგმის მოთხოვნის შესაბამისად, **ყველა საბავშვო ბაღში უზრუნველყოფილი იყო თითოეული ბავშვის მშობელთან მინიმუმ ორი ინდივიდუალური შეხვედრა**. აღნიშნული აქტივობა **სრულად შესრულდა ყველა საბავშვო ბაღში**, ხოლო მტკიცებულების სახით წარმოდგენილია შესაბამისი ჩანაწერები და ანგარიშები, რომლებიც ადასტურებს შეხვედრების ჩატარების ფაქტს.

4.2.5. პოზიტიური მშობლობის პროგრამის განხორციელება.

4.2.5.ა. ჩატარებულია პოზიტიური მშობლობის პროგრამის ერთი ციკლი, რომელშიც მონაწილეობს მინიმუმ 20 მშობელი.

მშობელთა განათლებისა და მათი აღმზრდელობითი უნარების გაძლიერების მიზნით, 2025 წლის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა პოზიტიური მშობლობის პროგრამის განხორციელებას. აღნიშნული პროგრამა ემყარება თანამედროვე, ბავშვზე ორიენტირებულ მიდგომებს და მიზნად ისახავს მშობლებში კომუნიკაციის, ემოციური მხარდაჭერისა და თანაგრძნობაზე დაფუძნებული აღზრდის პრინციპების განმტკიცებას.

სამოქმედო გეგმით განსაზღვრული კრიტერიუმის შესაბამისად, **ჩატარდა პოზიტიური მშობლობის პროგრამის ერთი სრული ციკლი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მინიმუმ 20 მშობელმა**. აღნიშნული აქტივობა წარმატებით განხორციელდა .

მტკიცებულების სახით, ფოტო მასალა განთავსებულია საბავშვო ბაღების გაერთიანების გვერდზე.

4.3 საგანმანათლებლო პროცესის შიდა და გარე მონიტორინგის მექანიზმების ეფექტური დანერგვა

4.3.1.საგანმანათლებლო პროცესის შიდა და გარე მონიტორინგის/შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა ან შექმნა

4.3.1.ა. შერჩეულია შეფასების ინსტრუმენტი.

საგანმანათლებლო პროცესის სისტემური და ხარისხიანი მონიტორინგის უზრუნველსაყოფად, განხორციელდა შესაბამისი შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცესი. შერჩეული ინსტრუმენტი სრულად შეესაბამება როგორც შიდა, ისე გარე მონიტორინგის საჭიროებებს.

ინსტრუმენტი გამოიყენება ყველა საბავშვო ბაღში და წარმოადგენს საფუძველს სტანდარტებთან შესაბამისობის, პროგრესის და გაუმჯობესების საჭიროებების განსაზღვრას.

4.3.2.საგანმანათლებლო პროცესის შიდა მონიტორინგის განხორციელება

4.3.2ა განხორციელებულია თითოეულ საბავშვო ბაღში წელიწადში მინიმუმ ერთხელ საგანმანათლებლო პროცესის შიდა მონიტორინგი.

საგანმანათლებლო პროცესი თითოეულ საბავშვო ბაღში შეფასდა შიდა მონიტორინგის მექანიზმებით, რომელიც გათვალისწინებულია 2025 წლის სამოქმედო გეგმით. მონიტორინგი მიზნად ისახავდა სწავლების ხარისხის, პედაგოგიური მიდგომების, უსაფრთხოებისა და ბავშვზე ორიენტირებული პრაქტიკების შესაბამისობის შეფასებას.

დადგენილი მოთხოვნის შესაბამისად, ყველა საბავშვო ბაღში მინიმუმ ერთხელ განხორციელდა შიდა მონიტორინგი, რის შედეგადაც დაფიქსირდა ძლიერი მხარეები და გამოვლინდა საჭიროებები შემდგომი გაუმჯობესებისთვის. მიღებული მონაცემები გამოყენებულია გეგმიური განვითარებისა და პედაგოგთა მხარდაჭერის პროცესში.

4.3.3.შიდა მონიტორინგის შედეგების საერთო ანალიზის განხორციელება

4.3.3.ა. განხორციელებულია ყველა საბავშვო ბაღის შემაჯამებელი ანალიზი.

საბავშვო ბაღებში განხორციელებული შიდა მონიტორინგის შემდეგ, გაერთიანებამ შეასრულა მონიტორინგის შედეგების მიმდინარე და შემაჯამებელი ანალიზი. ანალიზი მოიცავდა ყველა საბავშვო ბაღის მონაცემების გაერთიანებას, მიღებული ტენდენციებისა და ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებას.

ანალიზის შედეგად წარმოიქმნა მნიშვნელოვანი დასკვნები, რომლებიც დაეხმარება როგორც საგანმანათლებლო პროცესის გაუმჯობესებას, ისე პედაგოგთა პროფესიული განვითარებისა და ინსტიტუციური გეგმების კორექტირებას.

წარმოდგენილი ანგარიშის ანალიზი ცხადყოფს, რომ ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანებამ 2025 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, უმეტეს შემთხვევაში, უზრუნველყო განსაზღვრული სტრატეგიული მიზნებისა და ინდიკატორების სრულფასოვანი შესრულება. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ინკლუზიური განათლების სისტემური მართვა, ბავშვზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება, მშობელთა და თემის წარმომადგენელთა ჩართულობის კულტურა, ასევე შიდა და გარე მონიტორინგის მექანიზმების ოპერატიულობა და სანდოობა. განხორციელებულმა საქმიანობებმა გააძლიერა როგორც ინსტიტუციური შესაძლებლობები, ისე პერსონალის პროფესიული კომპეტენციები, რაც მისაღები ხარისხის საგანმანათლებლო გარემოს ჩამოყალიბების მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს.

ამასთან, ანგარიშში ასახულია კონკრეტული აქტივობები და ინდიკატორები, რომელთა შესრულება სრულად ვერ განხორციელდა ძირითადად სარემონტო სამუშაოებისა და სხვა სორგანიზაციო ხასიათის ფაქტორების გამო. დარჩენილი მიმართულებები გათვალისწინებული იქნება გეგმის შემდგომ ეტაპებზე და უკვე დაგეგმილია მათი ეტაპობრივი რეალიზაცია 2026 წლის სამოქმედო გეგმის ჭრილში.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე 2025 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები ქმნის მყარ საფუძველს გეგმიური განვითარებისთვის, ინფრასტრუქტურისა და საგანმანათლებლო გარემოს შემდგომი გაუმჯობესებისთვის, პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების მხარდაჭერისა და ინკლუზიური, უსაფრთხო და ბავშვზე ორიენტირებული საბავშვო ბაღების ქსელის კიდევ უფრო გაძლიერებისთვის.